MES 5 22 0000371276

11/04/2022

საგანმანათლებლო პროგრამები საკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 28.03.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომისდასრულებისდრო: 20:12 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ერეკლე ასტახიშვილი** - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
3. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
5. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
8. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **ეკატერი ნენაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;

10. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
11. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
12. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. **დავით ჩოჩიშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. **გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომა დგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**ქრისტინე აბულაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
4	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	ქეთევან ბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ნათია სორდია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	თეკლე ჩხეიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	გიორგი ჯაფოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	გიორგი ზუბიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	ლელა აფციაური	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	ზურაბ კაკაბაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

10	გიორგი აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,აგრონომიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა საბჭოს გააცნო სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შუამდგომლობა, რომელიც ეხებოდა ,,სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დღის წესრიგის მიხედვით ბოლო საკითხად განხილვას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,აგრონომიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
3. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 - ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თბილისის თავისუფალი აკადემია, ქ. თბილისი; ჯურხა ნადირაძის ქუჩა N46, N1; 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- მაკა კაჭარავამ

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის ,,ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა 2022 წლის 2 თებერვალს. კოვიდ-19

პანდემიის პერიოდში, დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეფასება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა დისტანციურად, კერძოდ, zoom-ის პლატფორმის მეშვეობით.
წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით, ვიზიტი შედგა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან, საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან და ხელმძღვანელებთან, ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სპეციალისტების, ხოლო ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერება - ბიბლიოთეკარის დახმარებით. ვიზიტები წარიმართა ორგანიზებულ გარემოში.

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები- შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები განისაზღვროს არა სასწავლო კურსის/კურსების საბოლოო შეფასების მიხედვით, არამედ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდირებული აკრედიტაციის სახელმძღვანელოს შესაბამისად კონკრეტული შეფასების მეთოდის/აქტივობის გამოყენებით;
2. რეკომენდებულია კიდევ ერთხელ გადაიხედოს ცალკეულ სასწავლო კურსთა თანმიმდევრობა და განისაზღვროს წინაპირობები;
3. რეკომენდებულია დაზუსტეს ან გადაიწეროს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის შესაბამისად ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგი და ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან;
4. რეკომენდებულია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსში დეკლარირებული სწავლის შედეგების შესაბამისი მეთოდები იყოს მითითებული;
5. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის შეფასება მოხდეს არა ერთჯერადად, არამედ შუალედური და დასკვნითი შეფასების საფუძველზე;
6. რეკომენდებულია იმგვარად ჩასწორდეს საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის დოკუმენტი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შესაბამისი რაოდენობის აკადემიური პერსონალით;
7. რეკომენდებულია აღმოიფხვრას შეუსაბამობები საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციაში 8.1 და 10.2 მუხლებს შორის, რათა ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრთა შემადგენლობა, რაოდენობა და კომისიის უფლებამოსილება;

8. რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალით;
9. დაწესებულებამ კვლევითი აქტივობის შეფასების სისტემაში გამოიყენოს კვლევითი პუბლიკაციების საერთაშორისო კლასიფიკაციის სტანდარტები. ამასთან, პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასებისას გათვალისწინებული იქნას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით პუბლიკაციების ციტირების მაჩვენებლები, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულების პერსონალის კვლევების საერთაშორისო აღიარებას;
10. რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოები განთავსებული იყოს ბიბლიოთეკაში (ელექტრონული ან ბეჭდური სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა თქმით, დასკვნაში მითითებულია, რომ გარკვეული ლიტერატურა საავტორო უფლებების გამო არ იქნა გამოცემული, შესაბამისად, დაინტერესდა, საავტორო უფლებებთან მიმართებით უარყოფითი პასუხის შემთხვევაში რა გეგმები აქვს დაწესებულებას. ამასთან საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, თუ რამდენი აფილირებული პერსონალი ჰყავს დაწესებულებას უშუალოდ ფსიქოლოგიის დარგის მიმართულებით.
საბჭოს წევრმა ლევან მოსახლიშვილმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დეტალურად განეხილათ რეკომენდაცია აკადემიური პერსონალის გაძლიერებასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ,,ბენჩმარკინგის“ დოკუმენტი, რომელიც წარმოდგენილია პროგრამის ფარგლებში საკმაოდ საინტერესოდ არის აგებული, კერძოს შერჩეულია 10 ქართული და 2 უცხოური უნივერსიტეტი. შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რა იყო კონკრეტულად იმ ორი უცხოური უნივერსიტეტის შერჩევის საფუძველი.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ დააზუსტა აქვს თუ არა დაწესებულებას რაიმე გეგმა კვლევითი საქმიანობის განვითარებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა საავტორო უფლებების საკითხთან დაკავშირებულ კითხვაზე განმარტა, რომ ინტერვიუების დროს დაწესებულებამ აღნიშნა, რომ იგი გეგმავდა რიდერების დამზადებასა და მათ განთავსებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა პროგრამასთან დაკავშირებით, კერძოდ აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, აღნიშნული პროგრამა შედგენილია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის შედეგად. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებებზე დაყრდნობით, საუკეთესო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. მისი თქმით, მსოფლიოს და მათ შორის საქართველოს წინაშე დღეს არსებული გამოწვევები დღის წესრიგში აყენებს ფსიქოლოგიის დარგის მცოდნე თანამედროვე ხედვებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი კვალიფიკაცია ფსიქოლოგიის სფეროში არსებული გამოწვევებისა და ძირითადი ამოცანების იდენტიფიცირებისთვის, თანამედროვე ცვალებადი სამყაროსთვის დამახასიათებელი ფსიქიკური პრობლემების შეფასებისა და ანალიზისთვის. აღნიშნულ პროგრამაში გათვალისწინებული იყო საუკეთესო პრაქტიკა. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია სფეროს ყველა მნიშვნელოვანი

მიმართულება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის კურსდამთავრებულთა მაღალ კონკურენტუნარიანობას საქართველოს შრომის ბაზარზე. პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ფსიქოლოგიის მეცნიერების სფეროში არსებულ გამოწვევებს და მათი გადაჭრის გზებს.
აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამას ახორციელებს 30 პერსონალი, მათ შორის 3 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი. ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა განხორციელდა დაწესებულებაში დადგენილი წესის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებდა აკადემიური პერსონალის შერჩევას აკადემიური და პროფესიული ნიშნით. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ საუბარია ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ამ მიმართულებით პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალი ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელებაში ჩართულობის თვალსაზრისით. ასევე, აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურს (ბაკალავრიატს). ამასთანავე, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აკადემიური პერსონალიდან, პრაქტიკული ნიშნით არჩეული აკადემიური პერსონალი საქართველოში ცნობილი პრაქტიკოსი ფსიქოლოგები არიან.
რაც შეეხება პროგრამაზე სამეცნიერო აქტივობების მიმდინარეობას, მართვის და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის კვლევითი საქმიანობის ცენტრი მუშაობს შემდეგი მიმართულებით: შიდა საუნივერსიტეტო კვლევითი-სამეცნიერო საგრანტო პროექტების განხორციელება, ასევე, დონორების მიერ გამოცხადებული კვლევითი პროექტების მოძიება და განაცხადების შეტანა, ყოველწლიური სამეცნიერო ელექტრონული ჟურნალის გამოცემის მომზადება, ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება, აკადემიური პერსონალის კვლევითი პოტენციალის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს მათი კვლევითი ინტერესების მიმართულებით განმავითარებელი აქტივობების მოძიებას და მათთვის მიწოდებას, ალტერბრიჯის აფილირებული/აკადემიური პერსონალისთვის განმავითარებელი ტრენინგების ჩატარება. ალტერბრიჯის ბაზაზე ფუნქციონირებს კვლევითი-სამეცნიერო ჟურნალი „თანამედროვე მეცნიერების გამოწვევები“, რომელიც არის რეცენზირებადი ჟურნალი, სტატიის რეცენზირება ხორციელდება სტატიის შესაბამისი დარგის ექსპერტის მიერ და შეფასების პროცესი სრულად ანონიმურია (double blind peer review), ჟურნალში სტატიების გამოქვეყნება შესაძლებელია ორ ენაზე - ქართულად და ინგლისურად. სტატიები გამოქვეყნებამდე გადის პლაგიატის პროგრამაზე შემოწმებას, რაც გულისხმობს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის უზრუნველყოფას უნივერსიტეტში. ჟურნალის პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებებია - მასკომუნიკაცია, ფსიქოლოგია, ეკონომიკა და ბიზნესის ადმინისტრირება, ასევე, ჟურნალში შესაძლებელია სტატიების გამოგზავნა განათლების და სამართალმცოდნეობის მიმართულებით. ჟურნალში სტატიების გამოქვეყნება შეუძლიათ, როგორც ალტერბრიჯის აკადემიურ და აფილირებულ პერსონალს, ასევე, გარე დაინტერესებულ პირებს, კერძოდ, სხვადასხვა ორგანიზაციის მკვლევრებს, ახალგაზრდა მეცნიერებს და ა.შ. ამ ეტაპზე ალტერბრიჯის კვლევითი საქმიანობის ცენტრი გეგმავს სამეცნიერო კონფერენციას თემაზე - „ფსიქოლოგიის როლი მართვასა და კომუნიკაციაში“, რომელიც ბმაშია ალტერბრიჯის კვლევით პრიორიტეტებთან და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამებთან და მიზნად ისახავს შემდეგი დარგების: მასკომუნიკაციის, ფსიქოლოგიის და მართვის გადაკვეთის წერტილების პოვნას და ამ მიმართულებით კვლევების წარმოჩენას. ალტერბრიჯის ტრენინგ ცენტრი და ინოვაციური განათლების ცენტრი პერიოდულად ახორციელებს სხვადასხვა ტრენინგებს, რომლებსაც ესწრება ალტერბრიჯის აკადემიური პერსონალიც. რაც შეეხება ,,ბენჩმარკინგის“ დოკუმენტს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პროგრამის შემუშავებისას ჩატარდა ბენჩმარკინგი, მოხდა გაანალიზება როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ანალოგიური პროგრამებისა და მომავალშიც, პერიოდულად მოხდება პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების

ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა. ბენჩმარკინგის ფარგლებში, დაწესებულებას არჩეული ჰქონდა ორი უცხოური უნივერსიტეტი, ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენდა პარიზის უნივერსიტეტი, რომლის არჩევის საფუძველი გახდა თანამშრომლობა ალტერბრიჯთან. ინსტიტუცია სამომავლოდ გეგმავს პარიზის უნივერსიტეტთან აქტიურ თანამშრომლობასა და სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზებას.

ამასთან დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტის საქაღალდე N1-ში განთავსებულია სწავლის შედეგების რუკები, რომელიც ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას, აკრედიტაციის სახელმძღვანელოს და ექსელის დანართის სახით, სხვადასხვა გრაფებში გაწერილია: 1. მიზან-შედეგობრივი კავშირი; 2. სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; 3. სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიის რუკა; 4. სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების გაზომვის თანხვედრა შეფასების ინსტრუმენტების მიხედვით; 5. სასწავლო კურსების შედეგების რუკა და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, რომლებშიც თითეული სასწავლო კურსისა და შედეგების თანხვედრა გაწერილია სწავლება-სწავლის მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტებისა და სავარაუდო შეფასების პროცენტული ნიშნულებით.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მე-2 და მე-3 რეკომენდაციები ამ ეტაპზე გათვალისწინებულია და დადგენილი წესით საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შესაბამისი ცვლილებებით.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, სასწავლო კურსების თითოეულ სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი სწავლის მეთოდები, რომლებიც რელევანტურია და სწავლის შედეგებს მიღწევადს ხდის კონკრეტულ დონეზე.

პროგრამის ხელმძღვანელმა მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სააკრედიტაციო პაკეტში ფოლდერ N1-ში განთავსებული იყო საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციის ძველი ვერსია. ექსპერტთა ვიზიტის დროს გამოთხოვილ იქნა მოქმედი დოკუმენტი, რომელიც მყისიერად იქნა მიწოდებული. ეს უკანასკნელი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებობათან და შეფასება ხდება არა ერთჯერადად, არამედ შუალედური და დასკვნითი შეფასების საფუძველზე. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე დეტალურად არის გაწერილი შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები. დაწესებულებაში არსებობს, ასევე საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი.

აქვე უნდა აღინიშნოს დაწესებულების პოზიცია მე-6 რეკომენდაციასთან მიმართებით, კერძოდ, საბაკალავრო ნაშრომის მოქმედ ინსტრუქციაში დეტალურადაა გაწერილი, რომ ნაშრომის ხელმძღვანელობა შეუძლია როგორც აკადემიურ პერსონალს, ასევე მოწვეულ სპეციალისტებს. შესაბამისად, იმ რაოდენობით, რაც დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სტუდენტების მიღება, პირველ ეტაპზე ეს პროპორცია არ ირღვევა და ამ ეტაპისთვის საკმარისია. მით უფრო აღნიშნული პროგრამა არ არის ამოქმედებული და მე-8 სემესტრში პერსონალის რაოდენობა გაიზრდება. ამასთან დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ მიმდინარე ეტაპზე ფსიქოლოგიის მიმართულებით გამოცხადებულია კონკურსი აკადემიური თანამდებობის დაკავების მიზნით.

მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა 8.1 და 10.2 მუხლებთან დაკავშირებით, რათა ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრთა შემადგენლობა, რაოდენობა და კომისიის უფლებამოსილება. მისი თქმით, აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ძველ ვერსიას და სახელმძღვანელოდ ცენტრის წარმომადგენელს გადაეგზავნა დოკუმენტის მოქმედი ვერსია.

რაც შეეხება მე-8 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებაში გამოცხადებულია კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ფსიქოლოგიის მიმართულებით და პროგრამის ამოქმედებისთანავე საგანმანათლებლო

პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი გაძლიერდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალით.
რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, მისი განმარტებით, სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სახლემძღვანელოები, რიდერები, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით განთავსებულია ბიბლიოთეკაში და ბაზაში, რომელზეც წვდომა აქვთ, როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებს. ექსპერტთა დასკვნაში ეს საუკეთესო პრაქტიკადაცაა მიჩნეული და ცოტა გაურკვეველია, 4.3 რეკომენდაციის შინაარსი (2.3 ქვეკომპონენტის შეფასებისას).

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:57
დასრულების დრო: 15:24

პროგრამასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტების მიზნით, საბჭოს სხდომა განახლდა და განხილვაში ჩაერთვნენ ექსპერტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა ლევან მოსახლიშვილმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალიდან, ერთ პირი როგორც მანამდე აღინიშნა არის მაგისტრანტი, მე-4 სტანდარტი კი შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისი, გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის დაზუსტებისკენ. ამასთან, მისი თქმით, წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დგინდება, რომ დარგის სპეციალისტი არის მხოლოდ ორი პირი.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ 1.2 კომპონენტის რეკომენდაციაში მოცემულია, რომ სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები განისაზღვროს არა სასწავლო კურსის/კურსების საბოლოო შეფასების მიხედვით, არამედ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდირებული აკრედიტაციის სახელმძღვანელოს შესაბამისად კონკრეტული შეფასების მეთოდის/აქტივობის გამოყენებით. ცალსახად რეკომენდაცია იკითხება იმგვარად, რომ ეს მეთოდოლოგია პროგრამას არ გააჩნია, თუმცა მოცემული სტანდარტი არის სრულად შესაბამისი. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამ მისცა ექსპერტებს იმის რწმენა, რომ პირველი სტანდარტი განისაზღვრა როგორც სრულად შესაბამისი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა დარგის სპეციალისტებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიის მიმართულებით კვალიფიკაცია საკმოდ მცირე რაოდენობას აქვს. პროგრამას ახორციელებს 30 პერსონალი, მათ შორის 3 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი. პროგრამაში ჩართული 30 პირიდან 26 უძღვება ძირითადი სფეროს შესაბამის სასწავლო კურსებს, მათგან: ძირითადი სწავლის სფეროს (ფსიქოლოგია) სასწავლო კურსების/კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი, 2 პროფესორი, მათ შორის არცერთი არ არის ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, 8 ასოცირებული პროფესორი, მათ შორის მხოლოდ ერთია ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, ხოლო 2 მომიჯნავე დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, ხუთი - მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე. ასისტენტ პროფესორი - 3, მათ შორის არცერთი არაა ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, სამივეს აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ერთი ასისტენტი, დოქტორანტი. ამასთან ექსპერტებმა შეისწავლეს თუ რამდენად არიან დასაქმებულნი აფელირებული პროფესორები უნივერსიტეტში. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა მთლიანად დაკომპლექტებულია პრაქტიკოსი ფსიქოლოგებით, რაზეც ინსტიტუცია მსჯელობს იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ მათ მიერ კადრების შერჩევა შეესაბამებოდა დამსაქმებელთა მოთხოვნებს, მაგრამ საკითხავია რამდენად რელევანტურია

საბაკალავრო საფეხურზე პრაქტიკოსი ფსიქოლოგები. პრობლემას წარმოადგენდა აგრეთვე ის საკითხიც, რომ შესაბამისობა არ იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში. რეალურად პროგრამის სჭირდება დოქტორის ხარისხის მქონე კადრები, რათა შეძლონ ხელმძღვანელობა, რაც დაწესებულებას არ ჰყავს და განმარტავს, რომ პროგრამა არ საჭიროებს დოქტორანტებს, ვინაიდან შიდა რეგულაციის მიხედვით მაგისტრის ხარიხის მქონე ადამიანსაც შეუძლია ხელმძღვანელობა.
ამასთან ექსპერტმა აღნიშნა, რომ დოკუმენტების ნაწილი წარმოდგენილი იყო ხარვეზით. ზოგიერთი პერსონალის CV-ი არ იყო წარმოდგენილი, რომ ბოლომდე მომხდარიყო ყველა დოკუმენტის შესწავლა. ვიზიტზე შეხვედრის დროს, როდესაც ექსპერტები დოკუმენტების ხარვეზებზე საუბრობდნენ, დაწესებულებამ განმარტა რომ მათ ჰქონდათ ალტერნატიული დოკუმენტები, თუმცა აღნიშნული ექსპერტებამდე არ მისულა, შესაბამისად ექსპერტებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობდნენ მათ. ექსპერტის თქმით, მიმდინარე დოკუმენტების საფუძველზე შეუსაბამობა ნამდვილად არსებობს, თუმცა ვიზიტის დროს, ვერბალურად დაწესებულება სხვა მდგომარეობას აღწერდა. რაც შეეხება სამიზნე ნიშნულებს, პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული იყო, რომ ეყრდნობიან აკრედიტაციის სტანდარტებს, მაგრამ რეალურად ბოლომდე არ მიჰყვებიან ამ სტანდარტს, ანუ რაღაც ნაწილში დაწესებულება მოქმედებს ისე, როგორც მოითხოვს სტანდარტი, ხოლო ის, რომ სამიზნე ნიშნულები ცალკეული აქტივობების სახით იყოს განსაზღვრული არ აქვთ დაცული.
მან ასევე აღნიშნა რომ ექსპერტებისთვის ვიზიტის მიმდინარეობის პროცესში დამატებითი მასალის სახით მოწოდებულ სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულების დოკუმენტში, სამიზნე ნიშნულები დადგენილია სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებით, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სამიზნე ნიშნული განისაზღვროს არა სასწავლო კურსის საბოლოო შეფასების მიხედვით, არამედ ერთი რომელიმე კონკრეტული შეფასების მეთოდის/აქტივობის მიხედვით, როგორც ეს რეკომენდირებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრულ აკრედიტაციის სახელმძღვანელოში. დაწესებულებას სწავლის შედეგების მექანიზმი აქვს, თუმცა აკლია თანმიმდევრულობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:55
დასრულების დრო: 16:20

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, მეოთხე სტანდარტში გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, 4.1 და 4.3 კომპონენტები შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", შედეგად მე-4 სტანდარტი შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". საბჭომ დაამატა რეკომენდაცია 5.1 კომპონენტში, შედეგად ეს კომპონენტი შეფასდა როგორც ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", შესაბამისად მე-5 სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".
საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება,

რეკომენდაციები:

1. სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები განისაზღვროს არასასწავლო კურსის/კურსების საბოლოო შეფასების მიხედვით, არამედ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდირებული აკრედიტაციის სახელმძღვანელოს შესაბამისად კონკრეტული შეფასების მეთოდის/აქტივობის გამოყენებით;
2. რეკომენდებულია კიდევ ერთხელ გადაიხედოს ცალკეულ სასწავლო კურსთა თანმიმდევრობა და განისაზღვროს წინაპირობები;

3. რეკომენდებულია დაზუსტეს ან გადაიწეროს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საფეხურის შესაბამისად ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგი და ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის სწავლის შედეგებთან;
4. რეკომენდებულია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსში დეკლარირებული სწავლის შედეგების შესაბამისი მეთოდები იყოს მითითებული;
5. რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის შეფასება მოხდეს არაერთჯერადად, არამედ შუალედური და დასკვნითი შეფასების საფუძველზე;
6. რეკომენდებულია იმგვარად ჩასწორდეს საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციისდოკუმენტი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შესაბამისი რაოდენობის აკადემიური პერსონალით;
7. რეკომენდებულია აღმოიფხვრას შეუსაბამობები საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქციაში 8.1 და 10.2 მუხლებს შორის, რათა ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს საბაკალავრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრთა შემადგენლობა, რაოდენობა და კომისიის უფლებამოსილება;
8. რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს დარგში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალით;
9. დაწესებულებამ კვლევითი აქტივობის შეფასების სისტემაში გამოიყენო სკვლევითი პუბლიკაციების საერთაშორისო კლასიფიკაციის სტანდარტები. ამასთან, პერსონალის სამეცნიერო აქტივობის შეფასებისას გათვალისწინებული იქნას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით პუბლიკაციების ციტირების მაჩვენებლები, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულების პერსონალის კვლევების საერთაშორისო აღიარებას;
10. რეკომენდებულია სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოები განთავსებული იყოს ბიბლიოთეკაში(ელექტრონული ან ბეჭდური სახით);
11. რეკომენდებულია, ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

- სასურველია კრედიტების განაწილება ერთნაირი იყოს უსდ-სმიერ წარმოდგენილ ყველა დოკუმენტში (საგანმანათლებლო პროგრამა, თვითშეფასება, სასწავლო გეგმა);
- სასურველია სკოლებთან თანამშრომლობაც, რათა სტუდენტებმა შეძლონ ისეთი პრაქტიკული უნარების გამომუშავება, რომელიც უშუალოდ ბაკალავრის კვალიფიკაციით დასაქმებაში დაეხმარებათ;
- სასურველია, რომ უსდ-მ შეიმუშავოს სასწავლო კურსების: საბაკალავრო ნაშრომისა და პრაქტიკის სილაბუსები;
- უნივერსიტეტში სამეცნიერო პუბლიკაციების გამოცემისას გაძლიერდეს რეცენზირების პროცესი ადგილობრივი და საერთაშორისო გარე შემფასებლების მონაწილეობით;
- დაწესებულებამ უზრუნველყოს სამეცნიერო ჟურნალისა და სამეცნიერო კონფერენციის მასალების ინდექსირება იმფაქტ-ფაქტორის მქონე ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში, როგორიცაა Scopus, Web of Science, SCImago Journal & Country Rank, ERIH (European Reference Index of the Humanities), ERIHPLUS, SCI / SSCI / HCI და სხვ;
- სასურველია პროგრამის ამოქმედებისთანავე პერსონალის საერთაშორისო პროექტებში/კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით გაიზარდოს დაფინანსება პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის, ამასთან, საჭიროა გაიზარდოს დაფინანსება საბიბლიოთეკო ფონდისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ ალტერბრიჯის „ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით.

მეორე საკითხი: სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,აგრონომიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცი ასაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აგრონომია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	01.02.2021 გადაწყვეტილება №49696
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	აგრონომიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0811 - მემცენარეობა და მეცხოველეობა
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 122 უნივერსიტეტის II კორპუსი. საქართველო 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია 2021 წლის 1 თებერვლის №49696 გადაწყვეტილებით, ინსტიტუციას გაცემულ რეკომენდაციებთან მიმართებით 1 წელში დაევალა ანგარიშის წარმოდგენა. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები დაწესებულების მიერ სრულად არის შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტსა და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა და გაატარა შესაბამისი ცვლილებები. ასევე დაწესებულება მუდმივად ზრუნავს განვითარებასა და პროგრამის დახვეწაზე და აქტიურად გააგრძელებს ამ კუთხით მუშაობას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:29
დასრულების დრო: 16:30

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,აგრონომიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,აგრონომიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 18:00 სთ-მდე.

მესამე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სპორტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	13.03.2020 გადაწყვეტილება №33
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სპორტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	1014 - სპორტი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის ქ. N68, გორი, სასწავლო კორპუსი N2, 1400, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს- თეა მჭედლურმა და დავით ჩოჩიშვილმა.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 2 თებერვლის №102594 ბრძანების საფუძველზე, 2022 წლის 15-16 თებერვალს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) მიერ განხორციელდა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის (შემდგომში - ვიზიტი) დაწყებამდე დადგენილი ვადებით ჯგუფს მიეწოდა პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და დანართები. დისტანციური ფორმით (Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით) ჩატარდა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა: ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად. ასევე, ჯგუფის წევრებმა განიხილეს ინფორმაცია, ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შესახებ, შეაჯერეს კითხვები და საკითხები, რომლებიც საჭიროებდნენ დაზუსტებას ან/და დამატებით განმარტებას. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ნაწილობრივ დისტანციურად Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით - ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები განხორციელდა 15 თებერვალს, სრულად დისტანციური ფორმით, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა ქ. გორში, 16 თებერვალს ადგილზე ვიზიტით (გადამოწმდა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა: სპორტული ბაზები).
ვიზიტი წარიმართა დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით, შეფერხების გარეშე, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტები შეხვდნენ ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ ჯგუფებს და დაწესებულების წარმომადგენლებს, კერძოდ: რექტორს, მის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის მართვის, საერთაშორისო ურთიერთობის და იურიდიული სამსახურების უფროსებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, თვითშეფასების ჯგუფის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელებს და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, პოტენციურ დამსაქმებელს/პრაქტიკის განმახორციელებელ პირებს. დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყო ყველა პირობა იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრული ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია სკოლაში დასაქმების პერსპექტივები, თუმცა აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია არ არის მოცემული პროგრამაში.

საკითხთან დაკავშირებით საუბრობდნენ სტუდენტები, რომლებსაც აღნიშნულის მოლოდინი ჰქონდათ, ექსპერტებისთვის გაუგებარი იყო თუ რა მიზანს ემსახურებოდა ორ სკოლასთან დადებული ხელშეკრულება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელშეკრულებები დადებულია 2020 წლის მარტში, როდესაც უკვე მიმდინარეობდა პროგრამის მოდიფიცირება. აქედან გამომდინარე, ექსპერტებმა განსაზღვრეს რეკომენდაცია, კერძოდ, პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა განხორციელდეს მხოლოდ ისეთ ობიექტებზე, სადაც იქნება უზრუნველყოფილი პრაქტიკის მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და გამოცდილების მიღება, სადაც მოხდება სპორტის პრაქტიკულ დისციპლინაში მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების რეალიზება პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის ფუნქციით და მოზარდებთან დაკავშირებული მუშაობის გზით (სადაც ყურადღება გამახვილდება საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარებაზე, სამწვრთნელო საკითხებზე და ა.შ.).

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველის ტანდარტი საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია მოხდეს გარკვეული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის ოპტიმიზაცია, კერძოდ: შემცირდეს მძლეოსნობის კურსებისთვის გამოყოფილ კრედიტთა რაოდენობა და დარჩეს „მძლეოსნობა-1“ (5 კრედიტი) და „მძლეოსნობა-2“ (5 კრედიტი); „ტანვარჯიში-1“ და „ტანვარჯიში-2“ გახდეს 5-5 კრედიტიანი; „მოძრავი თამაშები“ გახდეს 5 კრედიტიანი.
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „სპორტული წვრთნის საფუძვლების“ ნაცვლად პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს სასწავლო კურსები „სპორტული წვრთნის საფუძვლები-1“ (5 კრედიტი) და „სპორტული წვრთნის საფუძვლები-2“ (5 კრედიტი).
3. რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა განხორციელდეს მხოლოდ ისეთ ობიექტებზე, სადაც იქნება უზრუნველყოფილი პრაქტიკის მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და გამოცდილების მიღება, სადაც მოხდება სპორტის პრაქტიკულ დისციპლინაში მიღებული თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების რეალიზება პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის ფუნქციით და მოზარდებთან დაკავშირებული მუშაობის გზით (სადაც ყურადღება გამახვილდება საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარებაზე, სამწვრთნელო საკითხებზე და ა.შ.).
4. რეკომენდებულია ყურადღება გამახვილდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ახალი გამოცემებით შევსების/ჩანაცვლების საკითხზე.
5. რეკომენდებულია, წინაპირობის სახით მიეთითოს მხოლოდ ის სასწავლო კურსები, რომლებიც რეალურად აუცილებელია კონკრეტული სასწავლო კურსის შესწავლისათვის.

6. პრაქტიკული დისციპლინების სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის სპეციფიკური მეთოდები, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება, თუნდაც ერთი კონკრეტული სასწავლო კვირისათვის.
7. განხორციელდეს სილაბუსებში მითითებული წრიული წვრთნის მეთოდის ამოღება ან იმავე სილაბუსებში დეტალურად განიმარტოს მისი გამოყენების საჭიროება.
8. რეკომენდირებულია, რომ კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურმა გააუმჯობესოს არსებული და დანერგოს სტუდენტებთან მუშაობის ახალი მექანიზმები.
9. რეკომენდებულია პროგრამის ყველა კომპონენტის განხორციელება იყოს უზრუნველყოფილი ამ კომპონენტის სპეციფიკის შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალის მიერ - პრაქტიკული დისციპლინების ყოველი ცალკეული სასწავლო კურსი (თეორიული თუ არა, პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების დონეზე მაინც) წაიყვანოს შესაბამისი დარგის სპეციალისტმა და ეს დადასტურდეს სილაბუსებსა და ხელშეკრულებებში.
10. რეკომენდებულია, მკაფიოდ იყოს იდენტიფიცირებული და დოკუმენტირებული უშუალოდ პროგრამისთვის გამოყოფილი და პროგრამის საჭიროებების შესაბამისი ფინანსური რესურსები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა დააზუსტა იძლევა თუ არა პროგრამა გარკვეულ ცოდნას პარაოლიმპიელების მიმართულებით.
საბჭოს წევრმა, ირინა გველესიანმა, აღნიშნა, რომ პროგრამაში მოცემულ სილაბუსებს შორის არის ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის ოთხი სილაბუსი. ისინი, ძირითადად, ორიენტირებულია ზოგადი ინგლისურის სწავლებაზე და, შესაბამისად, აქცენტი არ კეთდება სპორტულ ტერმინოლოგიაზე. პროგრამის მიზანია აღზარდოს კადრი, რომელიც იასპარეზებს უცხოეთში და მოიპოვებს სხვადასხვა საერთაშორისო წოდებას. შესაბამისად, ის დაინტერესდა რამდენად მიზანშეწონილია სტუდენტებისთვის ახალი სალექციო კურსის, ინგლისური დარგობრივი ენის კურსის შეთავაზება.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა გამოყო დასკვნაში მოცემული მე-3 რჩევა, კერძოდ - მიზანშეწონილია, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო ნაწილში წარმოდგენილი სასწავლო კურსები „ქართული ჭიდაობა“, „თავისუფალი ჭიდაობა 1, 2“, „კალათბურთი“, „ძიუდო 1, 2“, „ცურვა“ და „ჭადრაკი“ გადატანილ იქნეს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით ნაწილში, შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა გამოყო ,,სპორტის მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი, რომელიც ძირითადი დარგობრივი კურსის სახით არის პროგრამაში წარმოდგენილი, და განმარტა, რომ მოცემულ სილაბუსში არ არის განსაზღვრული მენეჯმენტის საკითხები. სილაბუსში თემები იმგვარად არის გაწერილი, რომ არ იძლევა მენეჯმენტის კომპეტენციის განვითარების საშუალებას. სილაბუსის ფარგლებში განხილული საკითხების გათვალისწინებით, სასწავლო კურსი ორიენტირებულია სტუდენტს შესძინოს ცოდნა სპორტის ინდუსტრიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რამდენად უზრუნველყოფს აღნიშნული სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას..
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების მე-7 გვერდზე მოცემულია, რომ კურსდამთავრებულთა შედეგების მაჩვენებელი არის საკმაოდ დაბალი, ანუ ფრიადზე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არც ერთი სტუდენტი არ არის გასული, მეტიც, შარშან და შარშანწინ დამაკმაყოფილებელიც კი არავის მიუღია. გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რით იყო განპირობებული სტუდენტთა დაბალი აკადემიური მოსწრება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ სასწავლო კურსში ,,ადაპტური ფიზიკური აღზრდა და სპორტი“ განსაზღვრულია საკითხები შშმ პირთა მიმართებით, თუმცა ცალკე პარაოლიმპიელების

საკითხები არ არის მოცემული. პროგრამა იმგვარად არის აწყობილი, რომ იძლევა სპორტის ბაკალავრის კვალიფიკაცია, რაც წარმოადგენს ზოგად კვალიფიკაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამა ინსტიტუციისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ინფრასტრუქტურული კუთხით სხვა პროგრამებისგან განსხვავებით მოცემულ პროგრამაში ჩაიდო საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსი, ზაზა ფაჩულიას დაფინანსებით განხორციალდა 250 000 ლარის ღირებულების პროექტი. რაც შეეხება დასაქმების კომპონენტს, უნივერსიტეტს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა აქვს დამსაქმებლებთან და რეგიონში არსებულ პროფილურ დაწესებულებებთან. უნივერსიტეტი მუდმივად მზად არის განვითარებისთვის და აუცილებლად გაატარებს შესაბამის ცვლილებებს პროგრამის დახვეწისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა სკოლაში პრაქტიკასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ აღნიშნული არის პროგრამის ახალი კომპონენტი, შესაბამისად, სტუდენტებს ამ საკითხთან დაკავშრებით კომენტარის გაკეთება ფიზიკურად არ შეეძლოთ. რაც შეეხება სკოლებთან ხელშეკრულების საკითხს, აღნიშნული ურთიერთობა მხოლოდ სპორტის პროგრამისთვის არ არის განსაზღვრული, არამედ არის უფრო ფართო. სპორტის პროგრამასთან მიმართებით დაწესებულებამ მიუთითა მხოლოდ ორი სკოლა, მიუხედავად იმისა, რომ თავად უნივერსიტეტს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს გორის ყველა სკოლასთან. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ამ სკოლებში მუშაობს სათანადო სპორტული სექციები, რაც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას შეიძინოს აუცილებელი პრაქტიკული უნარები. ზოგადად პრაქტიკის კომპონენტი სპორტის საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილია ბოლო პერიოდში და ამიტომ იგი ჯერჯერობით არ განხორციელებულა, თუმცა ცენტრში უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაცია მოიცავს ხელშეკრულებებს იმ ორგანიზაცია-დაწესებულებებთან, სადაც განხორციელდება პრაქტიკის კომპონენტი. მათ შორის საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტოსთან, საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციასთან. პრაქტიკის კომპონენტი განხორციელდება აგრეთვე უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამაჯანსაღებელ ბანაკებში. პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების წარმოდგენილი ობიექტები შესაძლებლობას იძლევა, რომ უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარის განვითარება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე დაბალ აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტმა დაბალი შედეგების თაობაზე ჩაატარა კვლევა, კერძოდ, მოქმედი სტუდენტები სხვადასხვა პრაქტიკასა და პროექტში არიან ჩართულნი, რაც მათ გარკვეულ დროს ართმევს. სწორედ აღნიშნული არის ის ძირითადი მიზეზი, რომელიც განაპირობებს დაბალ აკადემიურ მოსწრებას.

ამასთან მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახური სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აწვდის ინფორმაციას რეგიონში არსებული ვაკანსიების შესახებ და ბუნებრივია, რომ რიგ შემთხვევებში, არსებული ვაკანსიები შესაძლოა ყოველთვის არ იყოს სრულ თანხვედრაში სპორტის პროგრამის სტუდენტთა პროფილის შესაბამის ორგანიზაციებთან. გარდა ამისა, აღნიშნული სამსახური პერმანენტულად გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა სპორტულ, კულტურულ და შემეცნებით აქტივობებს. უკანასკნელ პერიოდში, არსებული პანდემიის მიუხედავად, უსაფრთხოების სათანადო რეგულაციების გათვალისწინებით, აღნიშნული სამსახურის მიერ, სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა მონაწილეობით, განხორციელდა არაერთი შიდა საუნივერსიტეტო სპორტულ-კულტურული ღონისძიება.

ექსპერტმა ისაუბრა მე-3 რჩევასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (ჯამში 138 კრედიტი) იმგვარად არის შერჩეული, რომ უზრუნველყოს სტუდენტისადმი სპორტის სფეროს შესახებ ფართო ცოდნის მიწოდებას (ფიზიკური აღზრდის თეორია, სპორტის მენეჯმენტი, სპორტის ფსიქოლოგია, სპორტის ფიზიოლოგია და ა.შ.). ამ კურსთაგან უმეტებოსას, მინიჭებული აქვს 5 კრედიტი, რაც აღნიშნულ კურსთა სპეციფიკის გათვალისწინებით საკმარისია. თუმცა აქ ვხვდებით ერთგვარ შეუსაბამობას, კერძოდ: თითოეულმა სტუდენტმა ზოგადი ნიშნით სამ კონკრეტულ მართლაც სასარგებლო და მნიშვნელოვანი კურსის (მძლეოსნობა, ტანვარჯიში და მოძრავი თამაშები) გარდა, კიდევ დამატებით სავალდებულოდ უნდა გაიაროს ქართული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა 1-2, კალათბურთი, ძიუდო 1-2, ცურვა და ჭადრაკი. ესენი სპორტის სპეციფიკური სახეებია და ამის გამო დიდი რისკი იქნება ტრავმირების (განსაკუთრებით ჭიდაობის სახეებში), გარდა ამისა, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ზემოთდასახელებული ყველასთვის ადვილად გასავლელი სპორტის სამი სახეობისაგან (მძლეოსნობა, ტანვარჯიში და მოძრავი თამაშები). აქვე უნდა დაზუსტდეს, რომ მძლეოსნობა და ტანვარჯიში და მათში წარმოდგენილი მძლეოსნური და ტანვარჯიშული ვარჯიშები, სპორტის სხვადასხვა სახეობაში ფიზიკური მომზადების გამოყენების მიზნით, თანაბრად მნიშვნელოვანი და საინტერესოა. აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა გამოსწორდეს პროგრამაში ამ ორ კონკრეტულ კურსებს შორის არსებული კრედიტობრივი დისპროპორცია. მეორე მხრივ, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან (ჯამში 12 კრედიტი) სტუდენტებს შეეთავაზებათ მხოლოდ 6 კონკრეტული კურსი (ფეხბურთი, ჩოგბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, კრივი, რაგბი). თოთოეულ კურსს ეთმობა 3 კრედიტი, რომელიც ძალიან მცირეა იმისათვის, რომ სტუდენტმა სპორტის პრაქტიკული დისციპლინა აითვისოს. იმისათვის, რომ პროგრამამ ასეთი ზოგადი ფორმატიდან გადაინაცვლოს უფრო კონკრეტულ ასპექტებზე, უფრო კონკრეტული ცოდნა მისცეს ბაკალავრს, რომელიც მას შემდგომ უფრო უკეთ გამოადგება დასაქმების კუთხით (პირველ ყოვლისა, მწვრთნელად დასაქმების კუთხით), საჭირო იქნება ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკის დამატებითი გაძლიერება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამასთან მიმართებით აქცენტი ძირითადად კეთდება მწვრთნელის საკითხზე. მნიშვნელოვანია, რომ საკვალიფიკაციო ჩარჩო არ ითვალისწინებს მწვრთნელის მომზადებას. პროგრამა გულისხმობს სპორტის სახეობისა და უნარების შესწავლას.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა გამოყო ,,სპორტის მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი და განმარტა, რომ მოცემულ სილაბუსში არ არის განსაზღვრული მენეჯმენტის საკითხები. სილაბუსში თემები იმგვარად არის გაწერილი, რომ არ იძლევა საშუალებას განავითაროს მენეჯმენტის კომპეტენცია. სილაბუსის ფარგლებში განხილული საკითხების შინაარსის გათვალისწინებით, აღნიშნული კურსი ორიენტირებულია სტუდენტს შესძინოს ცოდნა სპორტის ინდუსტრიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკვანძო საკითხზე. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რამდენად გადის აღნიშნული სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებზე. მოცემული კურსის დასახელება და მისი შინაარსი არ არის ერთმანეთთან შესაბამისობაში, გამომდინარე აქედან უმჯობესია სასწავლო კურსმა განიცადოს გარკვეული ცვლილებები შინაარსთან ან სახელწოდებასთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს აქვს ერთიანი ბიუჯეტი, რომელიც შედგენილია „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანების შესაბამისად. ბიუჯეტის შედგენა ხორციელდება უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და სტრატეგიული მიზნებისთვის აუცილებელი საჭიროებების სრული გათვალისწინებით. მათ შორის, ბუნებრივია, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება. იმდენად რამდენადაც, უნივერსიტეტი მოკლებულია შესაძლებლობას ჰქონდეს

ერთზე მეტი ბიუჯეტი დამტკიცებული სახით, სტრუქტურული ერთეულები ადგენენ საკუთარი ბიუჯეტების ვერსიებს - შიდა დოკუმენტის სახით, რომლის გათვალისწინებითაც ხდება შემდგომში უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის შედგენა-დამტკიცება. ბუნებრივია, აღნიშნული პრაქტიკა მოქმედებს განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზეც, სადაც შემუშავებულია და არსებობს შესაბამისი პროგრამის ბიუჯეტის შიდა დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს უშუალოდ პროგრამისთვის გასაწევ ხარჯებს. აღნიშნული ხარჯები გადანაწილებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტის „პროგრამა/ღონისძიება“ ნაწილში („სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და სასწავლო-სამეცნიერო ხარჯები“) „საქონელი და მომსახურების“ მუხლში და სხვადასხვა ქვემუხლებში, საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. რამდენადაც, უნივერსიტეტს არ აქვს უფლება ჰქონდეს ერთზე მეტი დამტკიცებული ბიუჯეტი, შიდა დოკუმენტებით მკაფიოდ აქვს იდენტიფიცირებული და დოკუმენტირებული უშუალოდ პროგრამისთვის გამოყოფილი და პროგრამის საჭიროებების შესაბამისი ფინანსური რესურსები, დაწესებულებას მიზანშეწონილად მიაჩნია მოცემული რეკომენდაცია ამოღებული იქნას დასკვნიდან.
ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ აკრედიტაციის სტანდარტის მიხედვით პროგრამის/სკოლის ბიუჯეტით გაწერილია უსდ-ს მიერ პროგრამის მხარდაჭერა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტის ფორმირება ხდება პროგრამის ხელმძღვანელის ინტერესებიდან გამომდინარე. არსებული რეალობიდან გამომდინარე დანერგილია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ხდება ერთიანი ბიუჯეტის შემუშავება. თუ პრაქტიკა არსებობს თითოეულ პროგრამაზე ცალკე ბიუჯეტის არსებობის, დაწესებულება მზად არის შეიმუშავოს მოცემული ცვლილებები.
ექსპერტმა განმარტა, რომ გარკვეული დოკუმენტი არსებობდა, თუმცა მისი მხედველობაში მიღება ექსპერტების მიერ არ განხორციელებულა, ვინაიდან ბიუჯეტი გამოიგზავნა აკრედიტაციის ვიზიტის დასრულების შემდგომ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:50
დასრულების დრო: 20:10

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ფორმულირება შეუცვალა 4.4 კომპონენტში განსაზღვრულ რეკომენდაციას, ასევე დაამატა რეკომენდაცია 2.3 კომპონენტში, თუმცა აღნიშნულის შედეგად არ შეცვლილა სტანდარტების საბოლოო შეფასება.
საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია მოხდეს გარკვეული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის ოპტიმიზაცია, კერძოდ: შემცირდეს მძლეოსნობის კურსებისთვის გამოყოფილ კრედიტთა რაოდენობა და დარჩეს „მძლეოსნობა-1“ (5 კრედიტი) და „მძლეოსნობა-2“ (5 კრედიტი); „ტანვარჯიში -1“ და „ტანვარჯიში -2“ გახდეს 5-5 კრედიტიანი; „მოძრავი თამაშები“ გახდეს 5 კრედიტიანი;
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „სპორტული წვრთნის საფუძვლების“ ნაცვლად პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს სასწავლო კურსები „სპორტული წვრთნის საფუძვლები-1“ (5 კრედიტი) და „სპორტული წვრთნის საფუძვლები-2“ (5 კრედიტი);
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის “სპორტის მენეჯმენტი” სილაბუსი, კურსის დასახელებისა და შინაარსის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;

4. რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა განხორციელდეს მხოლოდ ისეთ ობიექტებზე, სადაც იქნება უზრუნველყოფილი პრაქტიკის მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და გამოცდილების მიღება, სადაც მოხდება სპორტის პრაქტიკულ დისციპლინაში მიღებული თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების რეალიზება პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის ფუნქციით და მოზარდებთან დაკავშირებული მუშაობის გზით (სადაც ყურადღება გამახვილდება საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარებაზე, სამწვრთნელო საკითხებზე და ა.შ.);
5. რეკომენდებულია ყურადღება გამახვილდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ახალი გამოცემებით შევსების/ჩანაცვლების საკითხზე;
6. რეკომენდებულია, წინაპირობის სახით მიეთითოს მხოლოდ ის სასწავლო კურსები, რომლებიც რეალურად აუცილებელია კონკრეტული სასწავლო კურსის შესწავლისათვის;
7. პრაქტიკული დისციპლინების სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის სპეციფიკური მეთოდები, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება, თუნდაც ერთი კონკრეტული სასწავლო კვირისათვის.
8. განხორციელდეს სილაბუსებში მითითებული წრიული წვრთნის მეთოდის ამოღება ან იმავე სილაბუსებში დეტალურად განიმარტოს მისი გამოყენების საჭიროება;
9. რეკომენდირებულია, რომ კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურმა გააუმჯობესოს არსებული და დანერგოს სტუდენტებთან მუშაობის ახალი მექანიზმები;
10. რეკომენდებულია პროგრამის ყველა კომპონენტის განხორციელება იყოს უზრუნველყოფილი ამ კომპონენტის სპეციფიკის შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალის მიერ - პრაქტიკული დისციპლინების ყოველი ცალკეული სასწავლო კურსი (თეორიული თუ არა, პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების დონეზე მაინც) წაიყვანოს შესაბამისი დარგის სპეციალისტმა და ეს დადასტურდეს სილაბუსებსა და ხელშეკრულებებში;
11. 4.4 ქვეკომპონენტის მოთხოვნის თანახმად, დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით და პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე, ცალკე დოკუმენტის სახით წარმოადგინოს ეკონომიკურად მიღწევადი პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილი იქნება პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები.

რჩევები:

- მიზანშეწონილია კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობებში არსებული ზოგადი ჩანაწერი დაკონკრეტდეს კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გათვალისწინებით;
- მიზანშეწონილია, სპორტული ტურის ნორმატივები შემუშავდეს სპორტის ცალკეული სახეების მიხედვით (მათთვის ინდივიდუალურად გაწერილი და სპორტის სახეობებისთვის მორგებული ნორმატივების საფუძველზე) და შესაბამისად, სპორტული ტური ჩატარდეს არა საერთო ფიზიკურ მომზადებაში, არამედ სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში;
- მიზანშეწონილია, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო ნაწილში წარმოდგენილი სასწავლო კურსები „ქართული ჭიდაობა“, „თავისუფალი ჭიდაობა 1, 2“, „კალათბურთი“, „ძიუდო 1, 2“, „ცურვა“ და „ჭადრაკი“ გადატანილ იქნეს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით ნაწილში;
- მიზანშეწონილია „ფეხბურთის“, „ჩოგბურთის“, „ხელბურთის“, „ფრენბურთის“, „კრივის“ და „რაგბის“ 3-კრედიტიანი სასწავლო კურსები გახდეს 5 კრედიტიანი და ყოველი ასეთი სპორტული სპეციალიზაცია, რომელიც წარმოდგენილი იქნება ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით ნაწილში, ერთი კურსის ნაცვლად წარმოდგენილ იქნეს სამი 5-5

კრედიტიანი სასწავლო კურსების სახით. მიზანშეწონილია ანალოგიური მიდგომა იქნეს გათვალისწინებული სპორტის ყველა სხვა დისციპლინაში (გარდა მძლეოსნობის,ტანვარჯიშის და მოძრავი თამაშების სასწავლო კურსებისა, რომლებიც უნდა დარჩეს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში);

- სასურველია, საჭიროებიდან გამომდინარე, ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტში პროგრამას დაემატოს ფიტნესის, სპორტული კვების, სპორტული მასაჟის, სპორტის სამართლის, სპორტული ტრავმების დროს პირველადი დახმარების და სპორტული ტურიზმის კურსები, ასევე, თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში კი შეეთავაზოს აკადემიური წერისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სასწავლო კურსები;
- მიზანშეწონილია, „თვალსაჩინოების კინოციკლოგრაფიული და ვიდეო მაგნიტოფონური დემონსტრირების“ მეთოდის ნაცვლად გამოყენებული იყოს „ციფრულ საშუალებათა გამოყენების მეთოდი“;
- მიზანშეწონილია გაძლიერდეს ადგილობრივ/საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა;
- მიზანშეწონილია გაძლიერდეს სტუდენტებთან უკუკავშირი;
- მიზანშეწონილია გაძლიერდეს საერთაშორისო აქტივობებში, კერძოდ, კი სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში, აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ხელშემწყობი მექანიზმები;
- მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების დარგის სპეციალისტების მიერ;
- მიზანშეწონილია პროგრამის შეფასებისას კომპლექსურად იყოს განხილული

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა გარემოება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განხორციელებისა და მდგრადობის დადასტურების შესაძლებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს წევრებმა ასევე კენჭი უყარეს დაწესებულებების შუამდგომლობას მიღებული გადაწყვეტილებების მიმდინარე სხდომაზე, 2022 წლის 28 მარტიდან ძალაში შესვლის შესახებ.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 20:12 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით